

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის სხდომის ოქმი **№9**

2022 წლის 13 ოქტომბერს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ომარ ქარდავა. ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ავთანდილ გაბელა, თემურ ქარდავა, გელა აბულაძე. ასევე ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დარეჯან დადიანი, მანანა ჭანია, დათო მესხია, ნანა ქობალია, გონერ კვარაცხელია, საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი დარსალიძე.

კომისიის წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს უკრაინაში, საომარი მოქმედებების დროს, დაღუპული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მკვიდრის ედიშერ კვარაცხელიას ხსოვნას.

დაწყების დრო: 10:00-სთ.

დასრულების დრო: 11:30-სთ

დღის წესრიგი:

1.ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“-ს მიმდინარე წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.

პროექტის წარმომდგენი: გელა კვარაცხელია, ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“-ის უფროსი

2.ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ.ჯვარის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“-ს მიმდინარე წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.

პროექტის წარმოდგენი: მინდია ჯინჯოლავა, ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ.ჯვარის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“-ის უფროსი

მოისმინეს 1. ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“-ს მიმდინარე წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ, საკრებულოს წევრებს ანგარიში წარუდგინა ა(ა)იპ-ის დირექტორმა გელა კვარაცხელიამ(ანგარიში თან ერთვის).

„ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“-ს წევრებმა, მაია მიქავამ აღნიშნა, რომ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიში დასახვეწია, არის ხარვეზები. ანგარიშში მოცემულია შტატგარეშე მომუშავეების ხარჯი, მაგრამ ვისზე რა თანხა იხარჯება, არ ჩანს. ამასთან დაკავშირებით, შენიშვნის სახით საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ავთანდილ გაბელიამ აღნიშნა, რომ შემდეგ მოსმენებზე, ანგარიში წარმოდგენილ იქნეს უფრო დეტალურად.

საკრებულოს წევრმა გონერ კვარაცხელიამ მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურს მიმართა, რომ მოქალაქე იგორ კვარაცხელიას საკარმიდამო ნაკვეთზე, კანთის უბანში, საყანე ტერიტორია, ყოველი წვიმის დროს იტბორება და მოსახლეს აქვს გაუსაძლისი მდგომარეობა, ამის თაობაზე საქმის კურსშია მერი, რომელმაც დასუფთავების სამსახურს დაავალა ამ პრობლემის მოგვარება. ტერიტორიაზე პრობლემის აღმოსაფხვრელად ამოსაჭრელია მიწა, რისთვისაც საკმარისია 2-3 ათასი ლარი. გონერ კვარაცხელიამ თხოვა ა(ა)იპ დირექტორს საკითხის კონტროლზე აყვანა და უმოკლეს ვადაში დადებითად გადაწყვეტა.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ავთანდილ გაბელიას თქმით, მწყობრიდან გამოსულია გარე განათების ნათურები ხვითერის უბანში, რომელიც სასწრაფოდ მისახედია.

მოისმინეს 2. ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ.ჯვარის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“-ს მიმდინარე წლის ცხრა თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ. ანგარიში წარმოადგინა ამავე ა(ა)იპ-ს დირექტორმა მინდია ჯინჯოლავამ. მან წარმოადგინა ფოტო მასალა, ყველა იმ სამუშაოსი, რომელიც თავისი სამსახურის მიერ იქნა გაწეული(ანგარიში თან ერთვის).


საკრებულოს წევრის ბაჩანა ქანთარიას კითხვაზე, თუ რა ხდებოდა ამწე-კალათას ტექნიკის შექმნაზე, მომხსენებელმა უპასუხა, რომ როგორც კი მერიიდან მიიღებენ თანხმობას, ამწე-კალათა იქნება შექმნილი.

საკრებულოს წევრის დარეჯან დადიანის თქმით, გამოსაცვლელია ცენტრალურ ქუჩაზე გახუნებული ურნები, რომელიც ქუჩის იერსახეს ამახინჯებს.

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს ა (ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ.ჯვარის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“-ის მუშაობა. საკრებულოს წევრებმა მას მაღლობა გადაუხადეს ნაყოფიერი მუშაობისთვის და წარმატებები უსურვეს.

ამით საკრებულოს კომისიების გაერთიანებულმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე

 /ომარ ქარდავა/